

1
1945

ნიაზი

ქართული
ბიბლიოთეკა

№13-14 თბილისი 1945 წ.

გამომცემლობა „თავისუფალი“. გამოცემის წელი XXII.
ფასი 4 მან.



ნახ. ა. კანდელაკისა

ბერლინის უკიდურესი პოზიცია

სამი დიდი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციაზე გადაწყდა უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც მომავალ მსოფლიო მშვიდობიანობას უზრუნველყოფენ.

გაზეუებიდან

- ჩვენში ამბობდნენ, მოვა დრო, როცა ბერლინში მსოფლიო მნიშვნელობის საკითხები გადაწყდებო.
- და—აი, გადაწყდა კიდევ!



ასე იყო: სამურაის
სავსე ბალი თვალსა სჭრიდა,
ლოყაწითელ ვაშლის გემო

წინდაწინვე ნერწყვსა ჰგვრიდა:
— ახ, მომწიფდეს, რომ მოვწყვიტო! —
გულში ასე ინატრიდა!

ჩ ა აკეთეს, ჩ ა ს შკაბორენა?

სამურაი-სამურაის დაეწია გაქცეულსა,
და, დაუწყოა შეკითხვები იმ ტოკიოდაქცეულსა:
— ახ, ბუსიდო! გეთაყვანე, რატომ გარბი ასე ფიცხად?
მანჯუ-გო და პორტ-არტური რად გაგიხდა დასავიწყად?
აკი ასე იყო მცნება, ასე მახსოვს შენი შოთქმა:
„მთელ მსოფლიოს უნდა ჰფლობდეს სამურაელთ დიდი მოღვაძე!
ზღვას და ხმელეთს, ცას და მიწას, ვით ნატურის თვალს,
როგორც ხვითოს—
უნდა მხოლოდ განაგებდეს მიკადო და ხიროხიტო!“
აკი ხასანს და ხალხინ-გოლს, წავატანეთ ერთხელ ტორი,
მართალია, მაშინ კიდევ წავგვითაქეს ერთი-ორი,
მაგრამ შენ ხომ მაინც იმედს გვინერგავდი ყველას, მუდამ:
„აზიდან-აფრიკამდე—მიწა ჩვენი იყოს უნდა!“
ახლა ასე კუდაკრული რად გავრბივართ დამფრთხალ შურ-
თხად?—
ყოველ მხრიდან ასე რატომ იბენტება ჩვენი ბურღლა?
— მაშ რა გქნათ რომ არ გავიქცეთ, როს ჩვენს თავზე უეცარი
ცეცხლი მოდის უღმობელი, აზვავებულ წითელ ჯარის!
— მერე განა არ ვიცოდით, როცა ასე კიდი-კიდი
ქარსა ვთესდით ქარაშოტად, ქარიშხალს რომ მოვიმკიდით?
— კი ვიცოდით, მაგრამ საშკალს ჩვენ სხვანაირს მოგვლოდით,
გაღმა—დუჩეს და გამოღმა „ფიურერს“ რომ ვმეგობრობდით.
— მერე როცა იგი დუჩე მიდრუნჩეს მოედანზე,
როს ეუკოფმა ფეხი შესდგა რეინსტატის მაღალ ბანზე,
როს ჰიტლერი—ნაცემ ძაღლის მსგ—სად სადღაც გაიძურწა,
და სილაზე ანაგები ჩვენი ძალაც მიიქუნწა,

რალა დასკვნას დავადექით, რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— მოკავშირეთ ულტიმატუმს ზურგს ვაქცევდით, ვმავრდებო-
დით!
— მერე, როცა ამ სიმაგრეს შეურყიეს მისი ბქენი,
როცა უკვე მოვისმინეთ საბჭოეთის განაჩენიც,
როს ამურთან წითელ ჯარის ზარბაზანმა დაიგრგვინა,
როს წითელმა ოფიცერმა „წინ!“—ო სთქვა და გაიცინა,
რა იშტაზე დაგვაყენა—რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— სათაგურში მომწყვდეულნი გავრბოდით და გამოვრბო-
დით,
ვატყუებდით — „გნებდებითო“ და თან სროლას განვაგრძობდით!
— მერე როცა ამ ტყუილმა საქმეს მაინც ვერ უშველა,
როცა წითელ ჯარის დარტყმამ ჰირისოფლით დაგვასველა,
მაღლა აღარ აგვახედა, არც დაგვინდო, არც დაგვზოგა,
და გვაქცია ჩირგვებიდან გამორეკილ კურდღლის ჯოგად,
აღარ მახსოვს, რა ვიღონეთ, რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?
— ყველგან სოროს დავეძებდით, არ ვიცოდით სად ვძვრებო-
დით!
— მერე როცა შეძრომითაც ვერ მოგვშორდა მაინც ჰირი,
როცა ჩვენმა მინისტრებმა გაიკეთეს ხარაკირი,
რალა დაგვჩა სანუგეშოდ, რალა გქნათ და რა ვაკეთოთ?
— რა ვაკეთოთ? მგონია, რომ... მაგრამ ჰოი, ბუღდა—ღმე-
როო!

მათწინ, უცხად აღიმართა—თოფით—წითელარმიელი,—
სიტყვა ველარ დაამთავრეს და ასწიეს ორთავ ხელი.

შაკსადანი



ყველა ხილს ხომ თავის დრო აქვს,
ჰა, მომწიფდა ვაშლი ჩქარა,
ატეხილმა ქარიშხალმა

თავზე უხვად დააყარა,
იტრაბახოს სამურაიმ,
რაც მას გემო ჩაატანა!

ჩემი პიროვნება

ბილეთები აღარ არი...

„ბიძია დრიშტი!
მე დავამთავრე საშვალო და ახლა მინდა საექიმოზე შევიდე. მართალია ოქროს მენდალი არა მაქ, რადგან პირად ინტერესებს ჰქონდა ადგილი, მარა იმედია თქვენი დახმარებით ქე მოვეწყობი. ძანიალი სრუფილი მაქ ექიმობისა, რადგან ეს მოსაგები პროფესია იქნება. გამოცდებზე ქე ჩამოვალ, ბიძია, მაგრამ ქთხოვ წინასწარ მოელაპარაკო ინსტიტუტის დირექტორს ჩემს შესახებ. შენი პატივცემი ჩემზე იყოს თქო, უთხარი. რაც შეეხება გამოცდებს არ შეგარცხენ, ბიძია დრიშტი! ქართული რიტერატურა სულ ზეპირათ ვიცი. იაკობა ხუცესიდან, რუსთაველამდე, თანამედროვე მწერლების თემატიურ შემოქმედების პოგრამიდან სულ ვიცი. პოგრამას თუ მიშონი და გადმოგზავნი კიდენ უქეესი, თუ არა და რალაც ერთი თვე დარჩა და მაინც რას მოასწრებს კაცი. გიგზავნი სიმწიფის ატისტატს, სამ კარტიჩქას, რომელიც რომ შემოქმედულია რომ მე ვარ კარტიჩქაზე. კიდენ სამხედრო სპრავკას. კიდენ თუ რამე აკლია შენ დაუმატე, ჩემო ბიძია, თუ ჯამთელობა იქნა საჭირო თუ სხვა სპრავკა. მოგიკითხა დედამ, მამამ და შემოგიტვალეს შენ პატივცემის გადავიხდითო და გამოცდებზე ჩემთან ერთად ჩამოვალთო. ალათი მამიდას ძროხამ ხფო დაბადა და შემოგიტვალა ყველს გამოგიგზავნიო. ვაბჩე დიდი ძღვენით ჩამოუალ ბიძია დრიშტი. ოლონდ გამოცდები დამაქერასო ჩემი ბიჭისთენო თქვა დედამ და მე ვიცი მერეო. ჩემი უფროსი ძმა რომ ფრონჩია იმასაც მნიშველობა აქვსო. ახლა შვილობით ბიძია და შენი ქირიმე ეს განცხადება დოკუმენტებით უეჭველათ საექიმოზე შემიტანე. უნივერსეტი არ მინდა იცოდე. დროს დასაკარგავად არ მცალია.

შვებულება რომ ავიდე
ვსტყვი:—დამიდგა კარგი დარი;
მოდო დედას ვინახულე
და გავიგებ როგორ არი.


ეს „საშვი“ კი მოვანერხე,
მაგრამ დავრჩი ცოცხალ-მკვდარი,
საქალაქო სადგურში სტყვეს:
— ბილეთები აღარ არი!

იხე ვაგზალს მივაშურე,
ნაცნობს თვალი ვერ მოვკარი,
სადაც მიველ, ასე მითხრეს:
— ბილეთები აღარ არი.

შტატის შემოკლებისათვის
მე რჩევა მაქვს ამდაგვარი:
თუთიყუში შეიძინონ—
(წოლბარკიც აქვე არი),

სადგურებში გაამრავლონ,
სალაროზე შემომგდარი,
მგზავრებს პასუხს ისიც მისცემს:
— ბი..ლე..თები აღარ...არი..

სხვა მიდის და მე კი ვერა?!—
ამ დარღს გულით დავატარებ:
ალბად ამ ჩემს შვებულებას
სალაროსთან გავატარებ...



სამუშაო მაგიდასთან ზის ონიფანტე და კალამს აწრიპინებს.

— მაშასადამე, — ფიქრობს ის, — ახლა ეს მოხსენება რომ მოეწონოს ჩვენს ახალ გამგეს, უთუოდ გადამიყვანს ახალ ადგილზე. შემდეგ კიდევ ახალი მოხსენება, კიდევ ახალი წარმატება და, ერთი ცენახოთ, მისი მოადგილე ვარ. შემდეგ კიდევ წარმატება და... ბოლოს და ბოლოს, გამგე ხომ დიდხანს არ იქნება ერთ ადგილზე? — გადაიკვანენ, დააწინაურებენ, ან გაფლანგავს, მოხსნიან და გამგის ადგილი ჩვენს ქლიაფჩირში განთავისუფლდება.

ონიფანტე კალამს წრიპინს სწყვეტს, ქერში რალაცას ათვალღერებს, საფეთქელს ისრებს და კვლავ კალამს იღებს, ცოტას კიდევ ფიქრობს და კალამს ისევ სდებს.

— დალახვროს ეშმაკმა, — არ იქნა და ვერ მოვანხე ახალი, გრძნობიერი ფრაზები, ჩვენს ახალ გამგეს არ უყვარს გაცვეთილი და შტამპიანი გამოთქმები; ახალი, მოკვეთილი და მოქნილი სიტყვები დასწერეთო, — გვასწავლის. ფეე, საიდან მოვიტანო ეს „ახალი და მოკვეთილი“? — რამდენ ჩვენს ბელეტრისტს ენატრება მოქნილი და მოკვეთილი ფრაზა, მაგრამ ვერ უბოვია და, კრიტიკოსები კი... მაინც აქებენ!

კვლავ წაეტანა კალამს, კვლავ რალაც მოიფიქრა, საფეთქლები მოისრისა, ორიოდ სიტყვა დაწერა, ისევ წაშალა და კვლავ დასდო კალამი.

— არა, რა სისულელეს ვროშავ? ისე გამოდის, ვითომ მეფიქროს, რომ არ შემიძლოს ისე წერა, როგორც ზოგიერთი მოთხრობის ავტორს, ეს აშკარა შეცდომა მომივიდოდა.

აი, მაგალითად, ადგება ზოგი ჩვენი მწერალი და აღწერს...

ამ დროს ხარი დაირეკა. ონიფანტე წამოხტა, კარებს ეცა და გასვლა დააპირა, მაგრამ ტალანში ცქრიალა რეგისტრატორმა გააბაკუნა და კისკისით უთხრა:

— ეს მე დამიძახა გამგემ, არქივიდან ერთი ძველი საქმის მოტანა მომთხოვა, თქვენ რატომ შესწუხდით?

— დალახვროს ღმერთმა, ძველ გამგეზე დაჩვეული, რომ ყოველ ხარის დარეკაზე უნდა შევსულიყავ მასთან, ჯერ კიდევ ვერ ვიშლი ჩვეულებას. მაშ ძველი საქმის მოტანა გთხოვათ? კეთილი, მიართვით!

რეგისტრატორი წავიდა, ონიფანტე თავის მაგიდასა და გაწყვეტილ ფიქრს დაუბრუნდა:

— ჰო, იმას ვამბობდი: ადგება მეთქი ზოგი ჩვენი მწერალი და აღწერს ვსთქვათ... მაგრამ რას აღწერს?

ამ დროს ონიფანტეს მოზრდილი ბუზი დააჯდა ცხვირზე:

ბზზ! — ზუზუნებდა ის სიცხისაგან ვახელე-ბული და ონიფანტეს ვეება ცხვირის მიღამოებს ზომავდა ხან აქედან და ხან იქიდან. ონიფანტე გაყუჩდა.

— აი, ვთქვათ, აღწერს ამ ბუზის დაჯდომას, იმ შთაბეჭდილებას, რასაც ამ ბუზზე ცხვირის ნესტოები ახდენენ. მართლაც და, რა საინტერესოა მისი თვალსაზრისი: ზის, ჩემო ბატონო, ნესტოს პირზე და გრძნობს, როგორ შეღურღურებს შიგ ცხელი ჰაერი და, როგორ გამოჰქუხს იქიდან უნახვირბადლო ოშხივარი. მას ჰგონია, რომ ეს ცხვირი კი

არა— ვულკანია, კრატერი, იქ ქარიშხალი შეგუგუნებს, ხოლო იქიდან—საიქი, გამოჰქუხს—ეშინია, ფრთხილობს, გარშემო უფლის, რომ ქარიშხალში, ან სამუშაოში და მოხვდეს და აქედან დაილუბოს.

— ჰოდა, სინამდვილეში რა არის? ჩვეულებრივი ცხვირი, — არც მეტი, არც ნაკლები, ცხვირია—არავითარი სამუში და ქარიშხალი, ის სუნთქვაა, ამ შემთხვევაში, ქლიაფჩირის ჩვეულებრივი თანამშრომლის, ჩვეულებრივი სუნთქვა. აი, როგორ აზვიადებს ზოგიერთი მწერალი ჩვეულებრივ ამბავს.

ონიფანტეს უცბად გული მოუვიდა, ხელის გაქნევით მოიშორა აბეზარი ბუზი და ხმამალლა წამოიძახა:

— განა ჩვენც ასე არ ვაზვიადებდით ჩვენი ძველი გამგის—ბუზუტის ფაფხურს? ჩვენ ის საქმის კაცი ვეგონა, ვეფხვად გვეჩვენებოდა. მისი სიტყვა ვგაფრთხობდა და წელში მოკაკული ვუღასტურებდით ყოველგვარ სისულელეს. მაგრამ რა გამოირკვა? მოვიდა რევიზია, გადასინჯეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ის ჩვენი ბუზუტია ჩვეულებრივი უქნარა ყოფილა, — გაფხორილი ყოყლოჩინა, რომელიც მხოლოდ პირადი საქმეებისათვის ზრუნავდა და ცოტა არიყოს, დაწესებულების ფულებს ფლანგავდა კიდევ. მერე რა ვუყოთ, რომ ის ცოლის მხრით მე ნათესავად მომხვდება? მოხსნეს, დაანიაჯეს, დადის ახლა და ტკეპნის ქუჩებს. რად მინდა ასეთი ნათესავი? რა ვუყოთ, რომ მე მას პირში ვეფერებოდი, ვაქებდი და მოხსენებებს ვუწერდი? ეს იმიტომ, რომ დაწინაურებას მოველოდი.

ზზზ! — ისევ ბუზილით დააჯდა ბუზი ონიფანტეს „ვულკანს“. მან მრისხანედ ხელი გაიქნია და ბუზი კვლავ გააფრთხო:

— ჯანდაბას შენი თავი, — სწორედ ბუზუტიასავით ბუზი. შენი თვალსაზრისი თან გაჰყვა იმ უქნარას, მე ახლა სხვა ონიფანტე ვარ, — აღარა მწამს შენი ბუზუტია.

ტელეფონის ხარი აწკრიალდა. მილი აიღო და ბოხი ხმით ჩასძახა:

— ა?
უცბად გამომეტყველება შეეცვალა, ღიმილი სახე დაუხაზა, მოტკბა, წელში მოიხარა და ხმის კანკალით წარმოსთქვა:

— ჰა, ბუზუტია ბრძანდებით? მართლა მმართველად დაგნიშნეს? მოპილოცავს ჩემო ბატონო, ჩემო ნათესავო! როგორ? ჩემთვის საწყობის გამგის ადგილი გაქვს შენახული? უღრმესი მადლობა, ჩემო ბატონო, დიდად მობარული ვარ. რაო? ჩვენი ახალი გამგე როგორი კაცია? ნულარ მკითხავ ბატონო, არაფრის გამკეთებელი არაა, შენსავით თავდადებული მუშაკი კი არაა, რომ ოფის იწურავდეს შრომაში. ამასთან სამსახურს შენთან სიკვდილი მიჩვენია! რასაკვირველია გადმოვალ, თქვენთან გადმოვალ ჩემო ბატონო და ნათესავო, დიდად გმადლობთ. მშვიდობით, დამიკოცნე ბავშვები! მშვიდობით!

როცა ონიფანტემ მილი დასდო და უბღბზე სიხარულის ოფლი მოიწმინდა, წელში გასწორდა და ავტორიტეტულად წარმოსთქვა:

— არა, მე ყოველთვის იმ თვალსაზრისს ვადექი, რომ ბუზუტია იშვიათი ფხიანი კაცია მეთქი, — ღირს მასთან მუშაობა, მოგაკლებს რამეს თუ?

ზზზ! — ზუზუნით დააჯდა ბუზი ონიფანტეს მიერ დაწყებულ მოხსენებას, — თითქოს ისიც უღასტურებდა ახლად გამოთქმულ თვალსაზრისს.

მანვილაკი

აქეთ ჩვენ ვდგავართ—იქით ის...

ნახ. ე. მაყაშვილისა



— მოქალაქე, თქვენ ამ მწკრივში ხართ გაჩერებული?

— გაჩერებული კი არა ვარ, ვმოძრაობ! — გაჩერებული ავტო ის ტროლეიბუსების

მწკრივია.



— ალბად მალე წავალთ. ვატმანმა უკვე დალია ლუდი!
— სამაგიეროდ კონდუქტორი დაბანდლება, საჩივარს სწერს—მოლარემ ხურდა არ დამიბრუნაო.

ანტონ ჩხიკვაძე

ჩემი შინაური განხილვა

დილით, როცა ლოგინიდან ახლად ამდგარი სარკესთან ვდგევარ და ყელსახვევს ვისკენი, ჩემს ოთახში ჩუმად და მორიდებულად შემოდინა სიდედრი, ცოლი და ცოლისდა. ისინი ჩემს წინაშე გამწყრივდებიან, მოწიწებით იღიმებიან და მშვიდობის დილას მილოცავენ. მე თავს დავუქნევ ხოლმე და მივმართავ სიტყვით, რომელშიაც განუმარტავ მათ, რომ ოჯახის ბატონ-პატრონი მე ვარ.

— მე თქვენ, ჯოჯოხეთის მამხალეებო, გაქმევთ, გასმევთ, გზაზე გაყენებთ, — ვეუბნები მე მათ, — ჭკუაზე გარიგებთ, კუნძებო, ამიტომაც თქვენ მოვალე ხართ პატივი მცეთ. ქედი მომიხაროთ, თრთოლდეთ ჩემს წინაშე, ალტაცებაში მოხვიდეთ ჩემი ნაწარმოებებისაგან და მორჩილების საზღვრებს ერთის მილიმეტრითაც არ გადააბიჯოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში... ო, ასე ეშმაკი და ერთი ალქაჯი, მე თქვენ მიცნობთ! ვერძის რქასავით მოგხრით! მე თქვენ გიჩვენებთ, სად იზამთრებენ კიბოები! და სხვ. და სხვ.

მოისმენენ რა ჩემს სიტყვას, ჩემი შინაურები ოთახიდან გავლენ და საქმიანობას შეუდგებიან. სიდედრი და ცოლი რედაქციებში

გარბიან ჩემი სტატიებით: ცოლი „ბუდილინი-ში“, სიდედრი „ახალ ამბებში“, ხოლო ცოლისდა ჩემი ფელეტონების, მოთხრობებისა და ტრაქტატების სუფთად გადაწერას ჩაუჯდება. ჰონორარის მისაღებად სიდედრს ვაგზავნი ხოლმე. თუ გამომცემელი ხელმოჭერილია და „დღეს-ხვალეობით“ მართობს, მაშინ მე ჩემს სიდედრს სამი დღის განმავლობაში უმი ხორცით ვკვებავ, გააფთრებამდე გავალიზიანებ და გამომცემელთა ჯიშისადმი გარდაუვალ სიძულვილს ჩაფუნერგავ; იგი აპილოპილებული, გამძვინვარებული, აფოფრილი წავა ხოლმე და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელცარიელი დაბრუნებულიყოს. მასვე ევალება თავმომაბეზრებელ მოვალეებისაგან დაიცვას ჩემი პერსონი. თუ მოვალენა ბევრი არიან და ძილს მიშლიან, ჩემს სიდედრს პასტერის მე-თოდით ცოფს ავუცრი ხოლმე და კართან დავაყენებ: ვერც ერთი თავგატეხილი ვეღარ შემოხედავს!

სადილზე, როცა მე წვნიანით და კომბოსტოში შემწვარი ბატით ყელს ვიკოკლოზინებ, ჩემი ცოლი პიანინოს უზის და ჩემს გასართობად უკრავს ნაწვეტებს „ბოკაჩიოდან“,

„ელენედან“ და „კორნევილის ზარებიდან“ ხოლო სიდედრი და ცოლისდა მაგიდის ირგვლივ „კაჩუჩას“ ცეკვებენ. მას, რომელიც მათგან განსაკუთრებულად მასიამოვნებდა, ჩვენს უკეთეს ხოლმე, რომ ვაჩუქებ ჩემს ცოლს, ცოლის ფაქსიმილეთი და დაპირებას არ ვასრულებ, რადგან გაბედნიერებული იმავე დღეს რაიმეს დააშავებს და ჩემს რისხვას დაიმსახურებს, რითაც კარგავს ჯილდოს მიღების უფლებას. ნასადილეც, როცა მე სავარძელზე სივარას ვაბოლებ და განცხრომას ვეძლევი, ცოლისდა ხმამალა კითხულობს ჩემს ნაწარმოებებს, ხოლო სიდედრი და ცოლი უსმენენ.

— ახ, რა კარგია! — ვალდებულნი არიან ისინი შეწყვირონ ხოლმე. — დიდებულია! რა სიღრმეა აზრისა! რა ზღვაა გრანობისა! მომხიბლავია!

როცა თვლემას მივეცემი, ისინი განზე გადასხდებიან და ჩურჩულებენ ისე ხმამალა, რომ მე გავიგონო:

— ეს ნიჭია! არა, ეს არაჩვეულებრივი ნიჭია! კაცობრიობა ბევრსა ჰკარგავს, რომ არ ცდილობს მის გაგებას! მაგრამ რაოდენ ბედნიერი ვართ ჩვენ, უბადრუკნი, რომ ასეთ გენიოსთან ერთ კერძვეს ვცხოვრობთ!

თუ დამეძინება, მორიგე სასთუმალთან დამიჯდება და მარათი ბუზებს მიგერიებს. გავიღვიძებ თუ არა, ვყვირი:

— კუნძებო, ჩაი!
მაგრამ ჩაი უკვე მზად არის. მომართმევენ და ქედმოდრეკით შემთხოვენ:


— მიირთვიეთ, მამავ და კეთილისყოფელო! აი, მურაბა, აი, ორცხობილა... მიიღეთ ეს ძვირედი ძღვენი...

ჩაის შემდეგ მე, ჩვეულებრივად სასჯელს ვაკუთვნებ ხოლმე იმ ბედუკულმართს, რომელმაც რამე დააშავა ოჯახური კეთილმოწყობის წინააღმდეგ. თუ დანაშაული არ ჩაუდენიათ, სასჯელი მომავალ დანაშაულში ჩაეთვლება. სასჯელის ხარისხი დანაშაულის მოცულობაზეა დამოკიდებული.

თუ, ვთქვათ, მე გადაწერით, „კაჩუჩათი“, ან მურაბით ვარ უკმაყოფილო, დამნაშავე მოვალეა ზებირად ისწავლოს რამოდენიმე სცენა ვაქტრების ცხოვრებიდან, ოთახები ასკინკილა შემოიაროს და ჰონორარის მისაღებად წავიდეს ისეთ რედაქციაში, სადაც მე არ ვმუშაობ. გაუგონრობის, ან უკმაყოფილების გამოთქმის შემთხვევაში უფრო მკაცრ ზომებს მივმართავ ხოლმე: საკუჭნაოში ჩავკეტავ, ნიშადურის სპირტს ვაყნოსებ და სხვა. ხოლო თუ სიდედრი აჯანყდა, მე გოროდოვოს და მეეზოვეს დავუძახებ.

ღამით, როცა მე ტკბილ ძილს ვეძლევი, ჩემს შინაურებს არ სძინავთ. ისინი ოთახებში დადიან და გუშაგობენ, რომ ქურდებმა ჩემი ნაწარმოებები არ მოიპარონ.

თარგმნა მარია მიქელაძემ



ოცდარვა სახლი აბარია ჩვენს სახლმშენებელს სარდიონ კიკიანს. ნეტავ იცოდეთ რა კაცია, რა კეთილია, რა გულისხმიერია.

დილიდან საღამომდე მისდამი რწმუნებულ მოზინადრეთა სამსახურში ატარებდა. დღეში ასამდე სხვადასხვა ცნობას, მოწმობას, და შუამდგომლობას აღწევდა ცალკე მოქალაქეებს.

— აბა სარდიონ, ერთი დაახეტიე ბეჭედი ამ ცნობას! — მიმართავდა მას მაგალითად, ვინმე ამბაკო ქილიფთარი და სარდიონიც ყოველგვარი ბიუროკრატიზმის გარეშე ძალუშვად დაჰკარავდა ბეჭედს ქალაქში.

— ბიჭო, ყალბ ცნობაზე არ მომავწერინო ხელი, თორემ ხომ იცი... რაზე დამარტყმევინე ბეჭედი, ერთი წამიკითხე.

— უბრალო ცნობაა, აი წაგიკითხავ: „ამით ვადასტურებთ, რომ ამბაკო ქილიფთარს ნამდვილად გარდაეცვალა ერთადერთი ცოლი, რის გამოც მიემგზავრება სოფელში ათი დღით...“

— მართლა ცოლი გარდაეცვალა შე საცოდავო?! თფუი, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს, — ცრემლი მოერეოდა სარდიონს.

— კეთილი კაცი ხარ სარდიონ ჩემო, და დიდი მადლობელი ვარ თანაგრძნობისათვის, მაგრამ ტყუილს ვერ გეტყვი. ცოლი კი არ გარდაეცვალა, მაგრამ ხომ იცი, ისე შეგებულვინა არ მაძლევინ და ამიტომ ეს მოვიგონე.

— შე კაცო, თავიდან ვერ სთქვი ვერ? კინადამ გული გამისკდა. უბრალო ცნობის მოცემას როგორ დაგამადლიდი!.. წადი წადი, ოღონდ ქალი დაარიგე სამი-ოთხი დღით გარედ ნუ გამოვა.

ამბაკოს შემდეგ ბაგრატა შემოვიდოდა:

— სარდიონს საღამო, ერთი დაახეტიე ამას შენებურად ბეჭედი და მომიწერე ხელი!

სარდიონიც დაუფიქრებლად დაორთქლავდა ბეჭედს და ისეთნაირად დაახეტივებდა ქალაქს, რომ მაგიდას სულ ხანხარი გაუდიოდა.

— აბა წამიკითხე რაზე მომავწერინე ხელი.

„ამით ვადასტურებთ, რომ ამის წარმომდგენი მოქ. ბაგრატ ტყუილადის მკვიდრი ცოლი პასიკო ტყუილადისა ნამდვილად არის ორსულად, რისთვისაც მიდის წალკაში ათი ფუთი კარტოფილის ჩამოსატანად...“

— არა ძმაო, ორსულობის ცნობას მე ვერ მოცემ, მაგის იმედი ნუ გექნება! — გაცხარდებოდა სარდიონი, მაგრამ შემდეგ მოლბებოდა:

— კაცო, ერთი საწყალი ბეჭედი მაქვს და ამას როგორ დავამადლი ვისმეს, — იტყოდა იგი.

მოზინადრეთა ასეთი გახურებული მომსახურების დროს, სახლმშენებელს თქმა უნდა, აღარ რჩებოდა თავისუფალი საათები ეზრუნა მისდამი რწმუნებულ სახლების მოვლა-პატრონობისათვის. მის უბანში ორი სახლი ჩამოანგრა, ხოლო დანარჩენებში წყალი ჩამოდიოდა და კანალიზაცია გაფუჭებული იყო.

— ამხანაგო სარდიონ, — მიმართავდა მას რომელიმე მოზინადრე — სახლი ინგრევა, სახურავი გაფუჭებულია, წყალსადენი აღარ მუშაობს.

— მერე მე რა გიყოთ... მე ხომ ვერ გადაეფარები სახურავს. ხომ ხედავთ რა დღეში ვარ, ერთ წუთსაც არ მაქვს მოცლა. — იტყოდა სარდიონი და დაორთქლავდა ბეჭედს, რათა ძალუშვად დაეხეტივებინა მეორე მოზინადრის მიერ მაგიდაზე გაშლილ ქალაქში.

— რა ცნობაა, კაცო, ეს, სიყალბეზე არ მომავწერინო ხელი ამ გაწამაწამი! — წარბშეკრული იტყოდა სარდიონი და მიუბრუნდებოდა პირველს, — ხომ ხედავთ რომ ერთ წუთსაც ვერ ვიცლი!

— აბა დაინგრეს სახლი?

— რაღა ახლა დაინგრევა, როცა მე დამნიშნეს სახლმშენებელად! — იტყოდა სარდიონი და მიუბრუნდებოდა სხვას: — მოიტა კაცო, ეს ქალაქი, რა მორცხვად დგება! — გამოართმევდა ქალაქს და „დროახ...“ — დაახეტივებდა დაორთქლილ ბეჭედს, — დასწყევლოს ეშმაკმა, რა უვარგის ბეჭედებს აკეთებენ. ორი კვირაა, რაც მევიძინე და უკვე გაცვდა.

ამ დღეებში როცა რაისაბუქოში საცხოვრებელი ბინების მოვლა-შეკეთების შესახებ სპეციალური თათბირი შესდგა, სარდიონი დარწმუნებული იყო, რომ მოზინადრეთა კარგი მომსახურებისათვის მას ჯილდოს მისცემდნენ.

მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა გამოუცხადეს, რომ იგი მოხსნილია სამსახურიდან და უფრო მეტიც — მიცემულია პასუხისმგებლობა საცხოვრებელი ფართობისადმი უპურადლებობისათვის. მოზინადრენი კი (სარდიონის მიერ პატივცემული მოზინადრენი!) გულგრილად შესცქეროდნენ სარდიონის გაკირვებას და სრულიად სამართლიანადაც მიაჩნდათ მისი ასეთი დასჯა.

აქუსს სარდიონ კიკიანი! როგორ დაგიფასეს ბედოვლათობა!

უჩინმაჩინი

ანგეღინას ბოსვანი

კვირა დილით ანგეღინა, შაბათ დღეზე ადრე ადგა, გადახედა გვერდზე საათს, თორმეტს ათი წუთი აკლდა.

მოწყენილად დაამთქნარა და ლოყაზე ხელი იკრა: — დღეს ბოსტანში რომ მივიღივარ რატომ არვინ არ იფიქრა?

მომიტანეთ მალე თოხი, პირი ჰქონდეს მჭრელი, სწორი, დღეს სტაფილო უხდა ვთოხნო, მერმე გკრიფო პამიდორი!

სახლში ყველა დაფაცურდა, ფერად კაბებს ურჩევს დედა: — პალატოს ნუ იცვამ, შვილო, კრემ-დე-შინი მოგიხდება!

სასაუზნოდ უმზადებენ ტკბილეულით საესე კოლოფს! ბებია კი-თოხის ტარზე ბამბით უსვამს ოდეკოლოს.

როგორც იქნა, ნაშუადღევს, გაემგზავრა თავის შტატით: რედიკულით, ხელთათმანით, ქოლგითა და დიდი შლაპით.

მოსამსახურეც მიჰყვება კალათით და ხელში ვარდით, მხარზე ადევს კოხტა თოხი — ზედ ალისფერ დიდი ბანტი.

გზაზე ყველას ესაუბრა: ვაბტანგს, რეზოს, მიშას, კოსტას; ნაშუადღევს, როგორც იქნა, მიაღწია თავის ბოსტანს.

მიაღწია, მაგრამ, მერე! თოხნის ძალა შესწევს ხანა? თუ კი დადღის, ამისთანა რაღად უნდა ბოსტან-ყანა?


და დაბრუნდა, რომ ეშხადოს, კვირას ნახოს კვლავ მიწდორი... ანგეღინას სამზადისში სხვამ წაიღო პამიდორი!

დონ. პედრო

სააკაკო შელაპათები

თბილის-ხაშურის მატარებელი შედგენილია დახურული ვაგონებისაგან. სიცხეში მგზავრები წუხდებიან. სამაგიეროდ, ღამით მოსიარულე თბილის-ბორჯომის მატარებელი მხოლოდ ღია ვაგონებისაგან შედგება.

ნახ. შ. ბერიტაშვილისა




1. დღისით, მზისით, როცა ცხვლა და სულსა ხუთავს თაკარა, — ჰაერდახშულ ვაგონებით

ქშენით მივალთ აგარაკს! — ნაშურამდე რა ჩააღწევს, რად დავგზავჯეს ამგვარად?




2. საღამოს კი — როს სივრილე — სიცვიეში გადავა. — ფარღალალა ვაგონიდან

მგზავრი ჩივის: — სადა ვარ? ბორჯომამდე რა ჩააღწევს, — მცივა, გზაში გადავალ.



1. ვერის ბაზართან

— ბაზრის კარები რად დაუკეტიათ? — იმიტომ, რომ შიგ „დახურული“ ვაჭრობა სწარმოებს. სამაგიეროდ აგერ ქუჩაში კი ღია ვაჭრობაა, სადაც გნებავთ, ისიამოვნეთ, რაც გინდათ მიირთვიეთ.



— ამ სპეკულანტებს რატომ ხმას არ სცემს ის მილიციელი? — იმიტომ, რომ გუშინ ჩხუბი მოუვიდა მაგათთან და ალბათ ემდურის... — ჩამილაპა რაკა გამვლელმა.

2. ჩამორჩენილი

სახლში სანათი ოდნავ ბუტუვდა. შეზობელმა ტელეფონის ყურმილი აიღო და დარეკა:

— რაიონის თელასის განყოფილება? უბნის მონტორი მინდა! ა? თქვენ ბრძანდებით? თუ ძმა ხარ, მეცი პატივი, რაიონიდან სტუმარი მეწვია და სინათლე ცოტახნით მაინც მომეცით, რომ ეს კაცი სახეზე დავინახო. რაო? რა ჩამოიტანა? ღვინო და ხაჭაპურები? ეგ რა თქვენი საქმეა, ამხანაგო... რაო? თუ არაფერი ჩამოუტანია, ბნელში დავაგდო? რას ამბობ, კაცო შენ. ჰო, გოგებაშვილის ქუჩიდან. რაო? გოგებაშვილს მოგებაშვილი უყვარსო? ვერ გავიგე, რას ამბობ. შეხედე, მილი დაკიდა!

— ქალო, — ცოლს მიუბრუნდა გაჯავრებული, — გაიგონე, რა მითხრა?

— გავიგონე.

— მერე? გაიგე რამე?

— როგორ ვერ გავიგე, კვირაში ოთხ მონტიორს ვიცვლით და მაგათი ენა ველარისწავლენ!

3. ზოგიერთის ბუნება

ერთერთი დაწესებულების დირექტორი და თანამშრომელი ერთმანეთს შეხვდნენ:

— გიორგი ვარლამიჩს სიცოცხლე და დღე-

გრძელობა, — ჩვეულებრივად მიესალმა თანამშრომელი.

— გავიმარჯოს.

— როგორ ბრძანდებით, გიორგი ვარლამიჩ?

— ცუდად, თავზე სახკონტროლის კომისია დამეცა და მგონია მხსნიან.

— რას ამბობ? — გაიკვირვა თანამშრომელმა და თან გულში ჩაილაპარაკა: — ახია შენზე, გეტირა ყოფა თუ არა.

მეორე დღეს ამათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— აკაკი ნიკიფორიჩს სიცოცხლე, — ახლა დირექტორი მიესალმა თავის თანამშრომელს.

— წადი გაიარე, შენთვის არა მცალია, — უპასუხა თანამშრომელმა.

— რა მოგივიდა, შე კაცო, გამარჯობა მაინც მითხარი, არაფერი ბრალი არ მიმიძღოდა, საქმე ჩემსკენ შემობრუნდა და აღარ მხსნიან...

— ჰოო? მაშინ უკაცრავად, გიორგი ვარლამიჩ, მე ამაში დარწმუნებული ვიყავი. ისე, ოჯახში ხომ კარგად ბრძანდებით?!



4. გამოცდილის პასუხი

— სამტრესტის № 2 მაღაზიას შესანიშნავი ღვინო აქვს, მოდი, წავიღებ სახლში, — გავიფიქრე და რიგში ჩავდექი.

— რა გინდა, კაცო, აქ რომ ჩამდგარხარ, შენც სპეკულანტობა დაიწყე? — გამოიმესაუბრა ნაცნობი.

— არა, ძმაო, ჩემთვის მინდა ერთი-ორი ლიტრი.

— შენთვის თუ გინდა, აქ არ მოგყიდიან, ტყუილად დროს ნუ კარგავ, — მომაიახა და გამშორდა.

5. სამკურნალო მკურნალი

ჩემს შეგობარს ციფბა შეეყარა: რიგობა-დარიგებისათვის სამალარიო სტეფანო მსაცნობა ექიმს დავურეკე:

— გამარჯობათ.

— იცოცხლე.

— როგორ ბრძანდებით, ექიმო?

— ვერა ვარ კარგად, მაციებს, ვის არ მივმართე, მაგრამ არაფერი გამოდის, შენ წამალი ხომ არაფერი იცი?

ტელეფონის ყურმილი ხელიდან გამივარდა.

6. გულმაგიწვი გამყიდველი

პარკში მინდორზე ჩამოვჯექი.


— ამხანაგო, არ შეიძლება მანდ ჯდომა. რომ ქეიფობდეთ, კიდევ შესმის და ასე ცარეული ჩეძი თავიც მეზარება, — მითხრა მილიციელმა და სასტვენს ჩაჰბერა. ავდექი.

— ბიჭოს, კიოსკში ლუდი ყოფილა, მოდი ერთი გავვრილდე, — ვთქვი და განზრახვა სისრულეში მოვიყვანე.

— ეს რა არის, კაცო, მტკვარი ჩაასხით შიგ? — ვიყვირე.

— ძალიან ჩამორჩენილხართ, მოქალაქე, გეტყობათ, აქაურის გამოცდილება სრულებით არ გაქვთ, — უხეზად მომიგო გამყიდველმა და სამთუმნიანი ყუთში ჩააგდო.

— ხურდა?



— ბოლიში გენაცვალე, ასეთ ხალხში გულმაგიწვი კი არა, რატომ შეტი არა ვარ, როცა შეურაცხყოფას შეყენებენ, ყველაფერი მაგიწვიდება.

გზაში ერთერთ მოსეირნეს ვკითხე:

— რად მიწოლდა იმ კაცმა ჩამორჩენილი?

— იმიტომ, რომ მტკვრის მაგიერ — დიდი ხანია ხმარებაშია მშვენიერი ჩუნჩუნა ნატახტარი. — მიპასუხა მან.

კ. გელათელი

ბიჭებო, ვთმხნეთ სიბიერი...

ტექსტი ბიანი

ახალი სიგურნია სთ გენყოვიდავარ

დასმარ მეურნეობაში წეს- მისამართული საყურადღებო პირობების გულუბრყვილი მიზნულობითი რაოდენობა, მაგრამ ამ საჭირო მიზნულობით რაოდენობა გვაქვს ნაყოფი და ეს ზედი ღარი- კატორბული სწორედ ამას გვება.

ნახატები დონისა



1

2

3

4

5

მარი ბავაძე



ილიარიონ აქვს დახმარე მეურნეობა



არდალიონ კი დახმარე მეურნეობა.

1. „სოხლარტყაბადის“ ყოფილ თანამშრომელს ნიკოლოზ ტყეაძეს ცნობა დახმარა მისი „ფარს-გახადებაში“ მუშაობის შესახებ.
— საქმიანობაყოფილ უნაში სამუშაოდ წავიდა, პარასკევს გამოიარე — უბრტეს ნიკოლოზს.

2. მეორე დღეს ნიკოლოზ ცარაბაის სიმინდებში ემტებ საკუთარმართად.
— სანდარს უნებნია, დირექტორის საყოფარ ნიკოლოზის თანხა, — უბრტეს ნიკოლოზს.

3. მესამე დღეს სანდარის სიმინდებში მოხტადი ნიკოლოზს შემოხტავი უნებნია და საქმიანობაყოფილ.
— უნებ დაწებულუბის ვალია ცხრაშტე მამილი. მოდარე ნახე, ზადიხადე და ცნობას მერე მოცემ — უბრტეს საქმიანობაყოფილ ნიკოლოზს.

4. — მოდარე უნაში წავიდა. ორნახობს იქნება. — უბრტეს პარასკევს ნიკოლოზს.

5. სამუშაობს ნიკოლოზ იხვე სანდარის მიმდარში, ზადიხ-ბუღალაში დაუხტებოდა...
(გაგრტებუბა იხილე სხვა დაწებულუბაში. პირ-ველი სურათადილ ხალხადი).



კალტურული „მირათორმეხილი“



„მირი ჯაჟის“ ბავაძე

მლიცხვილი — დირექტორმა და მოვიარა ბუბა იყიხეს, პუ როფორ მიდის საკვირე უნაში. დაუწებულ პირველს ზედი და მერტეს თანხაგვარა შრომადი.

მ თ ხ ე რ ს ე ბ უ რ ი მ ე ე უ რ ნ ე



1. — ტყრა ის დახატევი ბიჭის რის გინადვდრტეს, ფატული უნდა დადგა აღარ შეცარტება. — ფრჩხეს ნიკო თანამშრომლებსა და თანამხობტებებს.



2. ნიცი ახე მოიქცე.



3. — აჟ, როფორ ვიტყობ, ორტყეს ტურტეს შემოხტულან, ნამდვილი ტურა ბრადრე შეუხა. — გაიფიქრა ნიკო, რიცა ბიჭისი ახარტული დაუხტა.



4. და ზედას მიმარია. ფატულს მაგირე თავის დაწებულუბის უფრისის სურათი გამოიქვლია.
ამის შემდეგ ბიჭისა აღარც მანე არტება.



— ექიმო, როგორც ვხედავ, თვალები არ მირჩება.
— აა! თქვენ უკვე ხედავთ? სასიამოვნოა!

მარკ ტვენი

ჭაქაქუხილი

— ამრიგად, ბატონო ჩემო, — განაგრძობ მაკულიაბსმა — ქუხილის შიში ადამიანის ყველაზე უფრო სამწუხარო სუსტი მხარეა. უფრო მეტად ქალებს მოიცავს ხოლმე ის შიში, მაგრამ დრო და დრო ქუხილით დამტრთხალ ძალებსაც შეხვდებით და წარმოადგინეთ, მამაკაცებსაც კი. ყველაზე უფრო სამწუხარო სუსტი მხარეა მეტი, იმიტომ ვამბობ, რომ იგი იმ ზომამდე აცლის კაცს გამბედაობას და ძალას, რამდენსაც არცერთი სხვა შიში. ამასთან, როგორც არ უნდა შეარცხვინოთ — ამ შიშს ვერ განდევნის, ქალებს ჩვეულებრივ ეშმაკისაც არ ეშინიათ, მაგრამ ერთი გაელევა ანადგურებს და მუხლს კვეთს მათ.

ღიან, როგორც მოგახსენებდით, გამოძალიდა რაღაც გამაყრუებელი და უტყუარმა ბლავილმა: „მორტიმერო მორტიმერო“ ნელნელა გამოვიტყვი და სიბნელეში ხელის ცეცებით ვცდილობდი გამეყო სად ვიყავი.

— შენ მეძახდი, ვეანჯელინა? რა მოგივიდა? სადა ხარ?

— საკუთნაოში ვარ ჩაკეტილი. როგორ არა გრცხვენინან, რომ ამ მშვიდვარე ქუხილის დროს შენ უღარდელად ხვრინავ აქ!

— ჩემო ძვირფასო, აბა რა სასირცხვა ძილი? ეს ხომ უნებურად ხდება?

— მაგრამ შენ არც ცდილობარ ფხიზლად ყოფნას! არ ცდილობარ, არა!

— მომითხვე, საყვარელო, მართლაც და ძალიანა მწყინს, მაგრამ, ვამოდო მანდვდან და...

— მორტიმერო!

— ღმერთო ჩემო! რა მოგვივიდა, ჩემო ძვირფასო?

— როგორ, შენ ისეე ლოცინში წევხარ?

— ჰო, რა თქმა უნდა!

— ახლავე წამოხტი! მე შეგონა ცოტათი მაინც გაუფრთხილდებოდი თავს, თუ შენთვის არა, ჩემი და ბავშვებისთვის.

— მაგრამ, ჩემო კარგო...

— ნუ არ მეკამათები! ასეთი ქუხილის დროს რკინის საწოლზე საშინელი არაფერია. ეს ყველა წიგნში სწერია. შენ კი გინდა მაინცდამაინც დაიღუპო თავი, არ ვიცი კი რისთვის, ნუ თუ იმისთვის, რომ მეჩხუბო, გარდა ამისა...

— ეშმაკმა დალანგროს, ვეანჯელინა, მე უკვე ლოცინში არა ვარ, მე უკვე...

— მაგრამ უეცარმა გაელევებამ განიწყვიტა სიტყვა; ელვას მისის ულიამის ისტერიული კივილი და ქუხილის გამაყრუებელი გრუხუნი მოჰყვა.

— აი, შედეგები! ო, მორტიმერო, გული როგორ გაძლევს, რომ ასეთი საშინელების დროს იწყებლები და იგინობი?

— მე არ შემიგინია. გარდა ამისა ეს სრულებითაც არ არის შედეგი. კრინტიც რომ არ დამეძრა, ეს მაინც მოხდებოდა. შენ ეს კარგად იცი, ვეანჯელინა, ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდე, რომ როდესაც ჰაერი ელექტრობითაა დატენილი...

— აბა, არიქა, მოპყე მსჯელობას! პირდაპირ არ მესმის როგორ გაძლევს გული ასეთნაირად მოიქცე, როცა მშვენივრად იცი, რომ მეხამირი არა გვაქვს და შენი ცოლმედილი დღის ანაბარადა მიგდებულა. აბა რასა შერბილი? ასანთს ანთებ ასეთ დროს! შეიშალე?

— ეშმაკმა დალანგროს, აბა რა არის აქ ასეთი საშინელი. სახლში ჯოჯოხეთური სიბნელეა, შენ კი...

— ჩააქრე, ახლავე ჩააქრე! ნუ თუ გადაწყვიტე ნენ ყველა მსხვერპლად მიგვიტანო? განა არ იცი, რომ ელვას არაფერი ისე არ იზიდავს, როგორც სანთელი.

ზხზ! ბუზ-ბუზ-გრუხ!
— ხომ ხედავ, ახლა ხომ მაინც ხედავ რაცა ჰქმენი!

— მე არაფერსაც არ ვხედავ. ასანთს იქნებ შეეძლოს ელვის მიზიდვა, მაგრამ ელვას ვერ წარმოშობს, თუნდა სანაძლეოს ჩამოვალ. ახლა მით უმეტეს ელვას არც შეუძინია ჩემი ასანთი და კიდევ რომ დაემიზნებინა, განა ასე ადვილია ნიშანში მოხვედრება. მილიონში ერთი ორი თუ...

— გრცხვენოდეს მორტიმერო! ჩვენ აღსასრულის წინაშე ვდგავართ, სიკვდილს შევყურებთ, შენ კი ასეთი რამეების ლაპარაკი შეგიძლია. თუ კი სიცოცხლე არა გასურს... მორტიმერო!

— ჰა?

— დღეს საღამოს თუ ილოცე?

— მი... მინდობა, მაგრამ უცებ თავში გამიელვა რამდენი იქნება თორმეტჯერ ცაშეტი მეტი, და სულ...

ზხზ! ბუზ-ბუზ-გრუხ-გრუხ!
— დავიღუპეთ! ყველაფერი გათავდა! ველარაფერი გვიხსნის! შენ კი ასეთ დროს!

— მაგრამ წელან „ასეთი დრო“ არ ყოფილა! ცა მოწმენდილი იყო. რას ვიფიქრებდი უცებ ასეთი გრუხუნი შეიქნებოდა. ამას გარდა, არც შენ ხარ მართალი, როგორ შეიძლება ამდენი საყვედურა, როდესაც არც თუ ისე ხშირად მომდის ეს: ოთხი წლის წინად რომ მიწისძვრა იყო, იმის შემდეგ არც დამეწყებია საღამოს ლოცვა.

— მორტიმერო! გინდა მომატყო! ყვირედი ციება დავაიწყდა?

— ჩემო ძვირფასო, მუდამ ამ ყვირეთ ციებას მაყვედრი, მაგრამ ღმერთმა იცი სადაა უფრო შუაში ვარ. დეგუმასაც კი ვერ გაგზავნი მემდისში ისე, რომ გზაზე რამდენიმე ადგილას არ დაყოვნდეს. როგორ მიაღწევდა ამ სიზოვზე ჩემი ლოცვის დავიწყების ამბავი. მიწისძვრა კიდევ უფრო დასაჯერებელია, რადგანაც ეს აქვე ახლოს მოხდა, მაგრამ თუნდა ჩამომხარჩე თუ რამე ბრალი მქონდეს...

ზხზ! ბუზ-გრუხ-გრუხ!
— ო, ღმერთო, ღმერთო! რაღაცას მეხი დეცა მორტიმერო! მეტად ვეღარ ვიხილავთ დღის სინათლეს. მეჩვე მოიგონე შენი საშინელი ენა, როცა აღარ ვიქნებით ქვეყნად... მორტიმერო!

— რა მოხდა, რა გინდა?

— შენი ხმა ისე ყლვრს თითქოს... იქნებ ბუნართან დგებარ?

— აი, ეს კი მართლად დამავიწყდა, ეს ხომ მიუტყებელი დანაშაულია!

— მოშორდი ჩქარა! ეტყუარა მართლაც გადაგიწყვიტა, რომ ყველა დაგვლუბო! ნუთუ არ იცი, რომ ელვა ისე არაფერს მისდევს, როგორც ბუნარს!

— კარგი, დამედიდო, ახლა ფანჯარასთან ვდგავარ.

— ღმერთო მიუტყვე! შენ იქნებ მართლა გაგიყლი? ჩქარა მოშორდი ფანჯარას! ძუძუმწოვრებმაც კი იციან, რომ ქუხილის დროს ფანჯარასთან დგომა საშიშია. ღმერთო, ახლა კი წამდელიად ვხედავ, რომ ხვალინდელი დღე აღარ გამითენდება. მორტიმერო?

— ჰა?

— ეს რა შრიალი მესმის?

— ეს მე ვარ.

— რას აკეთებ?

— საცვალს ვეძებ.

— ჩქარა გადაადგე! მჯერა, რომ განგებ იცვამ ამ საცვალს ასეთ დროს. ნუთუ არ წაგიკითხავს, რომ

მატყლის ქსოვილი ელვას იზიდავს. ღმერთო ჩემო თითქოს არ კმაროდეს ის უბედურება, რაც ჩემგან დამოუკიდებლად ხდება! შენ ცდილობ იქეთ რამ მოიცილო, რაც ჩქარა დაგვლუბავს! ნუ მღერი, გესმის! ნეტა რას ფიქრობ?

— სიმღერას რაღა შეუძლია?
— მორტიმერო, ათასჯერ მიიტყვას, მღერა იწყებს ჰაერის რყევასა და მოძრაობას, შემდეგ ხეუჭრულდენს წარმოშობს... კარებს რატომღა აღებ?

— ღმერთო მიხსენი! მეჩვე და ამით რა მოხდება?

— რა მოხდება? დაგვლუბავს! ყოველმა უფიცვამაც კი იცი, რომ ორკოლი ქარი იზიდავს ელვას. კარგად დაკეტე, ჩქარა, ჩქარა თორემ ყველაფერი გათავდება! ღმერთო რა საშინელებაა ასეთ დროს გამოკეტილი ყოფნა. მორტიმერო, რას აკეთებ?

— არაფერს, წყალი მოჭუში, უნდა გაგვირდებოდა, თორემ დავიხრებ!

— როგორ, კვლის უკანასკნელი ნამცეციც დაკარგე? სხვა საგანს თუ ერთჯერ დეცა მეხი, წყალს 50-ჯერ! ჩქარა დაკეტე ონკანი! ო, ღმერთო, ნუ თუ შეუძლია რამე ძალას ჩემი ხსნა! ასე მგონია... მორტიმერო, რა მოხდა?

— ეშ... სურათი იყო, სურათს გაგვიკარი.

— როგორ, იქნებ კედელთან დგახარი ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ ასეთ უგუნურებას! ნუ თუ არ იცი, რომ ელვის ყველაზე კარგი გამტარებელი კედელია. ჩქარა გამოვრდი! გარდა ამისა, კინაღამ შეიგინე, შენი ოჯახის ასეთი უბედურების დროს რა გული გაძლევს, რომ ასე იქცევი? ბუმბული თუ შეუკეფე, ამს წინათ რომ გითხარი?

— უჰ, არა, დამავიწყდა.

— დაგავიწყდა! ამან კი იქნებ დაგვლუბოს. ეხლა რომ ბუმბული გეკონდეს, შუა ოთახში დაგვირდით და ზედ დაგვივებოლით — მაშინ მეხი ვერაფერს დაგვაკლებდა. ჩქარა ჩემთან მოდი, ჩქარა!

მეც მივედი, მაგრამ პაწაწინა საკუთნაო პოტესტი განაცხადა ჩაკეტულ კარებში ორივეს მითავსებაზე. ცოტახანს ვიდევნი, სულთქმა შემეკრა და გარეთ გამოვვარდი. ცოლმა მომაძახა:

— მორტიმერო, რამე უნდა ვილონო. აბა მომეცი გერმანული წიგნი, აი ბუზს ს თავზე რომ დეცს, და სანთელიც ამინთე; თუმცა ნუ ანთებ, აქ მომაწოდებ. მე თვითონ ვანთებ. ამ წიგნში არის ზოგი რჩევა.

მივეცი წიგნი, რომლის თაროდან ჩამოვდებ ძვირფასი ლარნაკის ფასი დამიჯდა. მისის ულიამის საკუთნაოში ჩაკეტა სანთელით, ანაწ საშუალება მომცა ცოტა ხნით თავისუფლად ამოვსუნეთქა:

— მორტიმერო, მანდ რა დადის? — მომაძახა ცოლმა.

— კატაა, ჩემო ძვირფასო.

— კატა? ო, დავიღუპეთ! ჩქარა დაიპირე და ყუთში ჩაკეტე. აბა ჩქარა, ჩემო საყვარელო მორტიმერო! კატა ელექტროობითაა სავეს! ამდენი შიშის ძრწოლვით ალბათ სულ გამითეთრდება თმა.

რალას ვიხამდი, შევუღებე კატის დაჭერის მძიმე და ათასნაირად დახლართულ საქმეს. რაღა თქმა უნდა, მრავალი სკამი ყირაზე დავა. ჩემი შუბლიც რამდენჯერმე მტკიცედ ჩაეკონა კედლებსა თუ ღუმელს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე ფისუნიას განჯინაში ჩაკეტვა. (როგორც შემდეგ გამოვიანგარიშე — ამ ნადირობის დროს დამტკოვული ავეჯის ზარალი 400-ზე მეტ დოლარს აღწევდა.)

— აქა სწერია, მორტიმერო — მოხმა საკუთნაოდან ყრუ ხმა, — რომ ყველაზე უფრო საიმედოა შუა ოთახში სკამზე დგომა. ისე რომ სკამის ფეხები ცუდ გამტარში მოვათავსოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სკამის ფეხები მიწის ქიქებში უნდა ჩავდგათ.

ზხზ! ბრუხ-გრუხ-გრუხ!
— გესმის, მორტიმერო. აბა ჩქარა, მანამ მეხი დავიღვამოვდეს.

მოვებნე ქიქება. ბევრი მათგანი ვერ აღმოჩნდა იმ ოთახაკისათვის მოხზადებული და დაიმტვრა. გაუძლო სწორედ უკანასკნელმა ოთხმა. ამრიგად, ბოლოსდაბოლოს, მოვახერხე სკამის ფეხების იზოლირება და ცოლს დანარჩენი ინსტრუქციები მოვსთხოვე.

— მორტიმერო, აქ ასე სწერია: „ქუხილის დროს განერიწო რკინეულობას და საერთოდ ლითონს, მაგ. საათს, გასაღებს, ბეჭდებსა და სხვას. ასევე ადგილს, სადა ლითონები აწყვეია ერთმანეთთან ახლო, ან რაიმე ნივთიერებასთან არიან შეერთებული. მაგ. ღუმელი და სხვა“.

— რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ლითონები ახლოს ვიქონიოთ თუ შორს?

— მართალი გითხრა, ვერ გაგიგე. ცოტა არ იყოს, არუელია. საერთოდ ყოველი გერმანული რჩევა-დარიგება არუელია. მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვები მოცემულია მიცემითს ბრუნვას, მხოლოდ აქა-იქ თუ შეგვხვდებით ნათესაობით ბრუნვას და კიდევ უფრო ცოტას სახელობითს, ასე რომ მე ფიქრობ, ლითონები ჩვენთან ახლოს უნდა გეკონდეს.

— მართალი ხარ. ასეც იქნება. ლითონები ხომ მეხამირდსა ჰგავს! აბა ჩქარა შენი სახანძრო ზუჩი დაიხურე, ისიც ხომ რკინისაა!


მოვებნე და დავიხურე მძიმე ზუჩი, რომელმაც სულმთლად შემეკრა სუნთქვა ამ ცხელ, დახუთულ ღამეს, ისიც ჩაკეტულ ოთახში.

— მორტიმერო, ახლა საჭიროა მუცელი და წელი დაიცვა, ჩქარა ხმალი შემოირტყი.

მე ამასაც დავთანხმდი.

— ახლა კი, როგორმე ფეხები უნდა დავიცვა. დე-

ხები გაიკეთე!



ესეც შეგვასრულე. თან კი გული ბრახისა და სიკუ-
ხისაგან მისკდებოდა.

— მორტიმერ, აქ ასე სწორია: „ქუხილით უწყებას
განგაშით ვრიდეთ, რადგან თვითონ ხარის მიერ,
როგორც ორპოლი ქარის მიერ მიიზიდება და თვითონ
სამრეკლოს სიმალის წყალობითაც მიიზიდების ელვა“.

— მორტიმერ, ეს როგორღა გაგიგოთ, ეკლესიის
სამრეკლოში ყოფნა ქუხილის დროს საშიშია.—თუ
პირიქით?

— თითქოს ასეა, თუ კი მართლაც ეს სიტყვა სა-
ხელობითი ბრუნვის მხოლოდობითი რიცხვის ნამყოს
მიმდებარა, ეს კი მე მგონია, ასე უნდა იყოს, ჩემი
აზრით, ასე უნდა გაგიგოთ: სამრეკლოს სიმალის წყა-
ლობით მგეტისმეტად საშიში იქნება ქუხილის დროს
ხარი რომ არ დავრეკოთ. თვითონაც ხომ ატყობ წი-
ნადადების აგებას...

— აბა, მორტიმერ, ჩქარა, ძვირფას წუთებს ნუ
ჰკარგავს დიდი სასადილო ხარი მოიტანე, იქ არ-ს,
დერეფანში. ჩქარა ჩემო ძვირფასო! ახლა თითქმის
გადარჩენილები ვართ.

ჩემი სახატებულო სახლი მალე გორაკზე დგას
რომელიც ფართო მინდორს გადაჰყოფებს.—მეზობ-
ლად, ძალიან ახლოს რამდენიმე მთასზე გლეხი
ცხოვრობს.

შეიძინე-რვა წუთის განმავლობაში სკამზე ვიდექი
და თავგამოდებით ვრეკდი ამ საშინელ ხარს. უცებ
ფანჯრების დარბაზები გარედან შემოხეთქეს და თვა-
ლები მომჭრა ფარისი დამაბრმავებელმა სინათლემ.

— რა ჯანდაბაა, რა მოხდა?—მომესმა ჩახლეჩილი
ხმა. ფანჯარა ხალხის თავებით იყო სავსე, ხალხო
თავები—თვალეებით, რომლებიც დაქინებებით ჩაშტერე-
ბოდნენ ჩემს სამხედრო საჭურველით მორთულ დამის
პერანგს.

ხარი ხელიდან გავაგდე, სკამიდან ჩამოვრტი და
მივმართე:

— არაფერი მომხდარა, მეგობრებო! ქუხილმა აგ-
ვაფორიაჰა. მე ვცდილობდი მენის განდევნას.

— ქუხილი? მენი? ჰკვირდნენ ხომ არ შეიშალეთ
მისტერ მაკ-იულიამს? მშვენიერი ღამეა. ქუხილი არც
კი ყოფილა!

მე ფანჯარაში გავიხედე და გაკვირვებისაგან ისე
გავშეშდი, რომ ერთხანს ვერაფრის თქმა მოვახერხე.

— არაფერი მესმის!—წავილულულულე შემდეგ—
გაელვებასაც ვხედავდით ქუჭურუტანებში და ქუხილის
ხმაც სახლს აზანხარებდა.

უცებ ყველა მიწას განერთხო და ისეთი ხარხარი
ასტე-ს, რომ ორ მათგანს გული გაუსკდა და იქვე
გათავდა.

ბოლოს ცოცხლად დარჩენილებიდან ერთმა ძლივს
მოახერხა:

— რატომ ფანჯარა არ გამოაღეთ და იმ გორაკებს
არ შეხედეთ? მაშინ დანახავდით, რომ ეს ხარბახუნ-
ები იყო, რომლებიც პრეზიდენტ ჰარფალდის არჩევას
მიესალმნენ. წუხელის მოვიდა ცნობა. ეს იყო და ეს!

— დიახ, მისტერ ტვენ!—მომმართა მისტერ მაკ-
იულიამსმა—როგორც მოგახსენებ, უამრავი შესანიშნა-
ვი საშუალება არსებობს მენისაგან თავდასაცავად და
მე პირდაპირ მივიჩივს, მაინც როგორ ახერხებენ ხან-
დახან მის მიზიდვას.

თქვა თუ არა ეს, თავისი ჩემოდანი და ქოლგა
აიღო და წავიდა. მატარებელმა უკვე მიაყვარა მის
ქალაქს.

ინგლისურიდან თარგმნა: ვანტანგ ზელიძე

„გულნაგკენი“ კასუხი



— ვინ იმყოფება ცოცხლად ჯოჯოხეთში?
— კაპახი ცოლის ქმარი.

ამ ცხელ აგვისტოს დღეს ერთად „შემოვლითი“ ტაქტიკით გავდიოდით
ფონს. ბიბლიოთეკისკენ გავსწივე და ჩემი ბიჭი ამემგზავრა. თქვენ არ იცნობთ
გურის. მის ფერ-გამკრთალ სახეს რომ შეხედო, იტყვი გაჭურული წყლით
ბებო. მაგრამ მისი მოუსვენარი თვალეები ამტკიცებენ, თუ რა წილია...
ის ამეკიდა, ვერც მხესუშინრას გამყიდველის კალათს აუვლი გვერდს უფათონა-
კოდ, ვერც ხილით დატვირთულ სახედრებს.

ამიტომ თავიდანვე თადარიგი დავიჭირე. „სოობტორგის“ მალახის მარცხე-
ნა ფლანგიდან შემოვუარე.

მაინც ვაღმა ტროტუარიდან ჰკიდა თვალი დახლთან შეჯგუფულ ხალხს.

— მამი, ხაჭაპური მიყიდე!
— ხედავ, ახლა გამოუტანიათ, ალბად ცხელია, პირს დაგწავს.

ეს საბუთი რასაკვირველია არ სჭრის:

— ლეღვი მიყიდე, ხედავ გუდა ლეღვი,—დაესო ახლა საკომეურნეო წერ-
ტის წინ.

— მოწეული არ იქნება, კუქს გატკენს.

ამითაც ვერას გავცდი.

— თხილი მამი, გაუჩურჩნავი თხილი.

— გახსოვს გუშინ როგორ გტკიოდა კბილი,—გუძებნი ნაირ-ნაირ მიხეზს და

ძლივს ვაგლეჯ ადგილიდან. ეს არც ისე იოლი საქმეა. ცხრა-თვალა მზე აქვრს
თბილისის ქუჩებს. დამოღვარი ასფალტი ბუზიჭერისაგან იკრავს ფენსაცმელე-
ბის ლანჩებს. თბილისელების გადასარბენი ასეთ ამინდში გამაგრებულ წყლე-
ბის ერთი კიოსკიდან მეორემდე ძლივს აღწევს. მაგრამ წელს ლიმონათის ტრესტს
გაზი შემოჰკლდება და ეს მანძილი კიდევ უფრო მცირდება. წყლის კიოსკებს
ბურნა ბუზივით ეხვევა ხალხი. ჩემი ბიჭი ვეღარ ბედავს ახლოს მიქრას. დალო-
ნებული, სიცხისაგან დაოსებული მომდევს უკან.

ნაყინის კიოსკთან დამეწია, კალთაში მწედა, კინალამ „დედის ერთა“ ხალი-
თი შემომანია.

სხვა თავის დასაღწევი რომ ვერა მოვიგონე, მეღიასავით ისევე ჩემი ქისა
ვიმოწეე.

— აკი გუშინ აიღე ჰონორარი!

— გათავდა შეილო, ზღვა კოვზით დაიღვევო, ხომ გაგიგონია.

არც ამ საბუთმა გასჭრა და მეც ჩათრევას—ჩაყოლა ვ.რჩიე.

კიოსკი ნაყინის მომლოდინე ხალხით იყო გაქვდილი. ერთ კუთხეში მივჯექ
და სახეზე ხელი ჩამოვიფარე, რომ ჩემს წინ მოხუხუნე ვინტილატორის ფრთებს
ცხვირი არ ჩამოეთალა. ცოტა რომ გავთამამდი, ირგვლივ მიმოვიხედე. დიდი
შეგება ვიგრძენი. კედლები ერთთავად მოხატული იყო თოვლით შელესილ მწვერ-
ვლების პანოებით.

— ნამდვილი ყინვის სამეფოში ვარ,—გავიფიქრე ალტაცებით და ჩემს ბიჭს
მადლიერის თვალთ გადავხედე—ეს რა კარგ ადგილას მომიყვანა მეტეი.

— ჰეი!—შეჰყვირა ვიღაცამ უცებ შემოვთებულად და ამ ოცნებიდან გამო-
მიყვანა. ის, ვისაც უყვიროდნენ, კიოსკის მსახურა ქალი იყო, მაგიდებს შორის,
ვიწრო გასასვლელში რომ გაქვდილიყო. მას ხელთ ეპყრა ათიოდე ბროლის ჯამი
ნაყინით სავსე.

ერთ ხელში ორი ნესვი არ დაიჭირებოდა.—იტყვიან ხოლმე და ამ ხელმარჯვე
მსახურსაც ორი ჯამი აყირავებოდა, შიგ მოთავსებული ნაყინი ერთს ჩვენს ჰი-
რისპირ მჯდომ გაზის კაბაში მორთულ დიაცს გადაღვროდა კალთაზე. მსახურმა
ქალმა ბოდიშით და ვიწვევით დაიწყო გაწეული კაბის წმენდა, ამ დროს მეზო-
ბელ მაგიდაზე შეჰყვირა ვიღაცამ.

— შე ოჯახ-ამენებულო, კისერში რომ მასხამ, დამაცადე ცოტა, იქნებ გსვამ.
მსახურმა ქალმა რის ვი-ვაგლახით დააშლშმინა დახარალებულები და ჩვენს
წინაც ჩამოგდა ეს ბროლის ჯამები. რძისფერ სითხეში ობლად ცურავდა ორი
პატარა ნატენი ყინული. სანამ კოვზს მოიტანდნენ, ის ორი ნატენიც გადნა.

კოვზი სამნაირი გამოგია: სუფრის, სადესერტო და ჩისა. აქ კი ამ გაწყალე-
ბულ ნაყინს რაღაც უცნაური კოვზები მოაყოლებს. ყვარისგან გამოთლილი, სავ-
სებით ბრტყელი და გლუვი.

ყველა დიდის გატაცებით შეუდგა ამ სერობას. თავები ჯამებზე დადრიკეს
ამოავლებდნენ ამ ბრტყელ კოვზებს სითხეში, მაგრამ პირამდე ორი წვეთიც არ
მიჰყვებოდათ.

საბას არაკი „ცხრილიანი კაცი“ მომაგონდა:

„კაცი ერთი მდინარისა კიდესა ჯდა. ცხრილი ხელთა ეჭირა. ჩაყვის ცხრი-
ლი წყალთა და რა აივისს, თქვის: ვისაც ღმერთი მისცემს, ესრე მისცემსო,
ამოიღის ცხრილი და რა წყალი გაედინის, თქვის: ვისაც წაართმევს, ესრედ
წაართმევსო...“

დიალაც რომ იმ ცხრილზე მეტი არა რჩებოდა ეს გაწყალებული ნაყინი
„თბილხლადაკომინატის“ ამ ჰკვირმავილურ კოვზებზე.

მომხმარებლები გულს მაინც არ იტებდნენ. თავგამეტებით უტყაპუნებდნენ
ამ ბრტყელ კოვზებს სითხეში.

ამ თვალის სეირში ჩემი ბიჭი სულ გადამაგიწყდა. როცა ჩემ წინ დადგმულ
„ნაყინიან“ ჯამს მივუბრუნდი, შევნიშნე რომ სახე ქერის კვერთხით ეღმიჭებოდა.

— რა იყო გური, რამ დაგალონა,—შევეკითხე მოგონილი გაცოცებით.

— აბა შენ რომ სთქვი: „ზღვა კოვზით დაიღვევო“, მე ეს ერთი ჯამი ნაყი-
ნი ვერ დამიცილია ამ კოვზით.

ჩემი ბიჭის ბუზლუნი ერთი ყირაფივით გრძელკისერა „მეინახის“ შეძახილმა
შესწყვიტა.

რა ვერაფერი დააკლო ჯამს, ღვინით სავსე თასივით მალდა ასწია. „ეს ოჯა-
ხი კედელ-კუთხე დიდო ღმერთო შენ აკურთხეო“,—დაილოცა ძველებურად და
ერთი დაწეებით გაღიწურა.

— აკურთხე კი არა ღმერთო, შენ დააქციე ამ წყლიანი ნაყინის და ამ უცნაუ-
რი კოვზების მომდინი,—წარსთქვა ერთმა ქონდრის კაცმა, რომელმაც გრძელკი-
სერას მიჰბაძა, მაგრამ მარცხიანად: მთელი ნაყინი გულსპირზე ჩამოედგრა.

გაბრაზებულმა ისე მაგრად დასდგა ჯამი მაგიდაზე, რომ ქურჭელიც გატყდა
და მაგიდაზე გადაფენილი შუშაც გაიბზარა.

კიოსკის გამგემ ხარალს ანაზღაურება მოითხოვა, გულსპირ-მოთხუპნულ-
მა—საჩივრის წიგნი. ისევ საბას არაკი მომაგონდა მეღას და წეროს მასპინძ-
ლობაზე.

ერთი კიდევ შევავლე თვალი კედლებზე გამოხატულ თოვლით შეღვსილ
მთებს და გარეთ გამოვედი.

ალ. ზვიზვილი



— მე დავრწმუნდი, რომ სრულებით აღარ გიყვარვარ.
 — რომ შემოგფიცო?
 — არა, მაინც არ დაგიჯერებ... სულ სხვა იქნება რომ ჯერ მთის აგარაკზე იშოვიდე ჩემთვის საგზურს, ხოლო შემდეგ—ზღვაზე გამაგზავნიდე.

სიზმარე ვნახე

სიზმრად ვნახე: ჩემს მეგობარს ცოლი—ზღვაზე წასვლას თხოვდა, როცა ფული ვერ უშოვდა მეპურეზე გაუთხოვდა.

გაუთხოვდა... სულ წავიდა, მიატოვა, გაჰყვა სხვასა, ფიქვნარები ინახულა, მიაშურა ნარნარ ზღვასა.

ზღვის ნაპირზე სიო დაჰქრის ფრთხილად არხევს კარვის ტილოს, და კარვიდან ჩემს მეგობარს ცოლი უცქერს სასაცილოდ.

ქმარმა უთხრა:—რად დამტოვე, რად მომიკალ წრფელი გული, უპასუხა:—რა ვქნა, არ მწამს ცარიელი სიყვარული.

მე ცხოვრება მსურს და მინდა, ცოცხალი ვარ, არა მკვდარი. რა ვქნა მიყვარს, მიყვარს, მიყვარს ჯერ ფული და—შემდეგ ქმარი...

სიზმრად ვნახე: რომ ის ქალი თავის მიჯნურს ფულებს თხოვდა, ქმარმა უთხრა:—აღარა მაქვს, ხომ გაძლევდი როცა მქონდა,

საცხოხობიდან ყოველდღე რომ გამქონდა და შემომქონდა. გამიგეს და ბანდური მკრეს, გული მისთვის დამიღონდა...—

და ის ქალი, ქმარს რომ მუდამ ღლედაღამე ფულებს თხოვდა, მეგობარსაც გაეყარა—მეპურესაც გაუთხოვდა.

გაუთხოვდა, სულ წავიდა, ჩვეულებას იგი აჰყვა. ორი კაცის ნაცოლები ფეხსაცმელის მკერავს გაჰყვა.

ზღვის ნაპირზე სიო დაჰქრის, ფრთხილად არხევს კარვის ტილოს, და კარვიდან იმ მეპურეს ცოლი იგდებს სასაცილოდ.

ქმარმა უთხრა:—რად დამტოვე, რად მომიკალ წრფელი გული. რა ვუყოთ, რომ მოხსნილი ვარ, და აღარ მაქვს ბლომად ფული!?

ცოლმა ასე უპასუხა:—ცოცხალი ვარ, არა მკვდარი, რა ვქნა მიყვარს, მიყვარს, მიყვარს ჯერ ფული და—შემდეგ ქმარი...

მაგრამ ფულს რა 'მეუძლია, ფული არ სწყვეტს ცოლქმარის საკითხს, იქნებ ქონდეს მცირე მკოდნეს და არ ქონდეს უფრო ნაკითხს...

დრო გავიდა. ერთ საღამოს მარტო ვნახე მე ის ქალი, სახეს ხანი დასტყობოდა, თვალის ქონდა ნამტირალი.

ჩვევა ველარ მოეშალა, გასწყრომოდა ისევ ღმერთი, სამი ქმარის მაგიერად აღარ ყავდა აღარც ერთი..

მარტო იჯდა სევდიანი, ბროლის ყელს არ იღერებდა, სიმგაჩყვეტილ გიტარაზე იგი ასე ამღერებდა:


—ისე ვკვდები—არ მიგრძენია სიყვარულის გრძნობა წმინდა. არც ფულები, არც კურორტი აღარ მინდა... აღარ მინდა.—

გიტარის ხმა შემომესმა, როს შესრულდა დილის ათი, თურმე კატამ გიტარის სიმს უცაბედად გაჰკრა თათი.

გამელეოდა... მზის სხივებმა შემაწუხა მეც და ცოლიც, დილის სიცხემ დაგვაფიქრა მეც და ჩემი გულის ტოლიც.

გადავწყვიტე: თუ დამიწყო ცოლმა ზღვაზე ლაპარაკი, ამ ჩემს სიზმარს მოგუყვები—იქნებ ამცდეს აგარაკი...

ნახ. დონისა



ცოლი — როგორ მიყვარს დაწყნარებული მონარნარე ლურჯი ზღვა.
ლუდის გამყიდველი — რათა, როცა ღელავს და ქაფს იკიდებს მაშინ არა სჯობია!

ს ა ე გ ე რ ა ე კ მ ვ ნ ე ბ ა ნ ი

ერთ ჩვეულებრივ დღეს, როცა ჩვეულებრივად ავდექი, „დილის ცვლის“ საოჯახო საქმეები მოეაწესრიგე, ფურნიდან პური მოვიტანე და საწერ მაგიდას მივუჯექი, ცოლმა ორანზროვანად გაიხედა ფანჯრიდან და მეტეოროლოგიურ თემაზე დაიწყო ლაპარაკი:

— როგორ ფიქრობ, ბესარიონ, რამდენი გრადუსი იქნება დღეს სიცხე?

— არ ვიცი ჩემო კარგო, დილა გრილია, ალბად შუადღისას აიწვეს.

— მაინც?

— კაი სიცხე უნდა იყოს მოსალოდნელი!

— გრადუსებით, გრადუსებით მელაპარაკე, განყენებული ფრანგები ნუ იცი ხოლმე, — შემომიმაღლა მან ხმა — უკვე ათიოდე გრადუსის აწვეით.

— როგორ გითხრა? ჩვენი ამინდის ბიურო გუშინ აცხადებდა რომ...

— აი, კიდევ სიტყვას ბანზე მიგდებს! მე ამინდის ბიუროს კი არ ვეკითხები, არამედ ჩემს კანონიერ ქმარს, რომელიც მოვალეა თავის ოჯახურ საქმეებში ერკვეოდეს.

— ჩემო ძვირფასო, თუ მეტეოროლოგია, მზის სხივების მიმოქცევა და პლანეტების ბრუნვა უკვე ოჯახურ საქმედ გამოცხადდა, დიხასაც, რომ ვალდებული ვარ შევისწავლო ეგ მეცნიერება და ყოველ დღე სალამოს წარმოვიდგინო ამინდის ბიულეტენი.

ამ სიტყვებს ტულეტზე ჩემი ცოლის მუშტების მრისხანე დარტყმა მოჰყვა, რის შემდეგ თავის მხრივ ოვალურმა, ვარაყინმა სარკემ ისკუბა და იატაკზე ნამსხვრევებად გაიშალა.

— ოი, მიშვე-ლეთ! — დამიღუბა ოჯახი ამ უხეშმა, ამ ცინიკოსმა: ამ ლაყაფიჭნმა, რომელსაც თავისი უხადრუკი ლაპარაკი ხუმრობა ჰგონია! — დაიწყო ჩემმა ნახევარმა და ტახტზე გაიშოტა.

რასაკვირველია, მისი ეპიტეტები ჩემს მიმართ სრულიად დამსახურებული იყო. ისეთი შედარებები რომ არ შეხმარა, სარკვე მთელი გადარჩებოდა და ჩემი ცოლის „გაგულისებული“ გულიც.

— არაფერია, — „დავამზვიდე“ ის, — ეგ ფათერაკია, — მე უკეთესი სარკე ვნახე საკომისიოში და...

— მართლაც ფათერაკი გეწყინება ადამიანს, თორემ, ეგ სარკე გადასავდები იყო. მაშ იმ სარკეს ვიყიდით საკომისიოში რომ გინახავს?

— რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს ოჯახსაც უნდა შეეტყოს ომის დამთავრება.

ამ სიტყვებით, როგორც იტყვიან, საკუთარი თავის დასაკლავი დანა გამოეჩხრიკე. ჩემმა ნახევარმა აღარ დააყოვნა და დაწყებულ თემას დაუბრუნდა:

— ჰო და მეც მაგას ვფიქრობ, ბესარიონ, რომ ომის გათავება მართლაც უნდა შეეტყოს ოჯახს. რამდენი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ბაკურიანი?

— ბაკურიანი? ეს ჩემო კარგო, ვახუშტის აღწერით, მშვენიერი

ალბური საძოვრების — თრიალეთის წარმტაცი ქვაბნარია, საუცხოო ფლორით...

— ბესარიონ, მე საოხუნჯოდ არ გეკითხები, — მომიპრა მრისხანე პარტნიორმა, — მე გეკითხები სიმაღლეს.

— რად გინდა ძვირფასო, სიმაღლე?

— იმიტომ, რომ გავიგო აიტანს თუ არა ჩემი გული მის ჰავას.

— რა შუაშია ბაკურიანის ჰავა?

ჩემმა ცოლმა კვლავ მოკუმშა მუშტები და კვლავ დაუმიზნა ტულეტის მაგიდას, მა.რამ ამ პოზაში გაჩერდა და მომმართა:

— ბესარიონ, შენ პატიოსანი კაცის სახელი გაქვს მოპოვებული, გამოდის კი რომ...

— რა გამოდის, ჩემო კარგო?

— ის გამოდის, რომ მთელი ომის პერიოდში შენ უსინდისოდ სტუუოდი.

— ვსტუუოდი? ვისთან?

— ვისთან და ჩემთან, მე საზოგადოების წევრი ვარ და, მაშასადამე, ატყუებდი საზოგადოებას.

— როგორ თუ?

— როგორ და ისე, რომ შენ ყოველთვის მეუბნებოდი: — ახლა ომია, აგარაკზე წასვლა შესაძლებელიც რომ იყოს — უხერხულია და უნდა მოითინო.

— მერე და განა ეს სიცრუეა?

— ეს კი არა, ის არის სიცრუე, რომ შენ დასძინდი ომი გათავდეს და, მაშინო.

— მერე?

— „მერე“? მერე ის, რომ ომი გათავდა, ზაფხული დადგა, მაშასადამე, აგარაკზე წასვლა გარდაუვალია.

მე ჩავიციე და ტკბილად ვცადე გამოსავლის მონახვა:

— ჯერ, ჩემო კარგო, ომის ჭრილობები არ მოშუშებულა, ჩვენს აგარაკებზე ჯერ ცხოვრება არ ჩამდგარა ჩვეულებრივ კლასოტში, სანატორიუმები არ მუშაობენ.

— ჰაერი ხომ მუშაობს? ფიქვნარი ხომ უშვებს სამკურნალო სურნელებას? მზე ხომ უშვებს ულტრა-ისფერ სხივებს? ზღვა ხომ ლივლივებს და პლიაქზე ხომ იფრქვევა სამკურნალო სხივები?

მოდით და გაუძელოთ ამ მოლაღადე არგუმენტებს! ორივე ფეხით ჩავვარდი „ხაფანგში“ და ჩემი მქვერპეტყველება მხოლოდ იმაშილა დამეხმარა, რომ ჩემი მრისხანე მეუღლე დავიყოლიე მხოლოდ ბაკურიანის აგარაკზე წასვლას. ჩემს მდგომარეობაში ესეც შელავათია, მაგრამ ალბად მიხვდებით, თუ როგორ წამამწარებენ თავის მხრივ ამ შელავათს ბაკურიანელი კერძო აგარაკის მებატრონენი. ვაი შენს ბესარიონს! — ამოოხვრით დასძინა ჩემმა მეგობარმა ბესარიონ რატევენელმა, რომელიც ბორჯომისაკენ მიმავალ მატარებელში ატუხულოყო და გარშემო ჩემოდნებისა და შეფუთული ბარგის ალყა ჰქონდა შემორტყპული.



ნიანგის შესწორება იმ შემთხვევისათვის, თუ დახური გამანაწილებლის გამგელ მუშაობს ქაფიანძე, ჰაშიაშვილი ან გავლიჯიანი.

ბაკათაბი ნიანგს

ამხ. ნიანგო!

ამხ. ნიანგო!

ყვარლის რაიონის მცხოვრებლებს დღემდე გაგონილი გექონდა, რომ არსებობს ისეთი კაცი, რომელსაც კვირაში ცხრა პარასკევი აქვს, მაგრამ ასეთი დაწესებულებაც თუ არა ებობს, არასოდეს გავგიგონია. საქართველოს „სოიუზპეჩატზე“ მოგახსენებთ, საქმე იმაშია, რომ ზემოდანსენებ რაიონის ახალგაზრდებს გამოწერილი გვაქვს გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. „სოიუზპეჩატის“ თბილისელი მესვეურები გაზეთს ყოველი თვის 1 რიცხვიდან 17 რიცხვამდე დაუხარებლად გვიგზავნიან, ჩვიდმეტი რიცხვის შემდეგ კი, თვის ბოლომდე ასე გვიპასუხებენ: „სად არის როდის გამოიწერეთო“. მთელი ცამეტი დღის განმავლობაში ვუნდებით იმის მტკიცებას, რომ ნამდვილად გვაქვს გადახდილი 5720 მანეთი.

პირველი რიცხვიდან კვლავ იწყება გაზეთების გამოგზავნა და ა. შ.

გთხოვთ ჰკითხოთ, ამხ. ნიანგო, „სოიუზპეჩატის“ თანამშრომლებს, პარასკევის შესახებ ნათქვამი ანდაზის გარდა, იმაშიც ხომ არ უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ქვეყნად ისეთი ორფეხა ადამიანი არსებობს, რომელიც ქალღმერთსა და გაზეთებზე იკვებება!

ყვარლელი

ამხ. ნიანგო!

ბორჯომელ ღვინის გამყიდველებს ამ უკანასკნელ ხანს ერთი ახირებული ჩვეულება დასჩემდათ: ჩახვალთ თუ არა საწყობში, იმ წუთში დაიწყებენ ცოლ-შვილის დაფიცებას, რომ ღვინოში მტკვრის წყალი არ ურევია. იქნება თქვენ მაინც ჰკითხოთ, ამხ. ნიანგო, ამ ჰამაფიცობებს, ფიცი კი გვწაბს, მაგრამ ღვინოში ჰიკვირა თევზებს რა უნდათ?

ვ. სითაური

მოგესხნებათ, ელექტროტექნიკაში დღემდე რამოდენიმე ფორმის რეოსტატი არსებობს. უკანასკნელ ხანს ფრთის ელექტრომონტორებმა ახალი სახის რეოსტატი შემოიღეს ხმარებაში. ეს „ელექტროდეტალი“ ჩვეულებრივ მონტიორის ჯიბეში თავსდება და იმართება არა ხელის საშუალებით, არამედ ფულის შეხებით. მისცემთ თუ არა მონტიორს ორას მანეთს, იგი ჯიბეში ჩაიკვცავს ამ თანხას. ფულის სიმძიმე „რეოსტატს“ ეხება და იმ წუთში ჩნდება ელექტროსინათლე.

გვითხარით, ამხ. ნიანგო, საფრთხილო ხომ არ არის ასეთი სახატაბალო დეტალის „რეოსტატის“ ჯიბეში მოთავსება?

ვ-გ-ძე

ამხ. ნიანგო!

ამას წინათ ხაშურში ერთი უცნაური ამბავი მოხდა:

რკინიგზის აბანოს უეცრად თავს დაესხა სახანძრო დაცვის რაზმი, შლანგები მომართა და აბანოს „ჩაქრობა“ დაიწყო.

— რას გვეჩივრით, წყალი ჩვენც ბევრი გვაქვს, — უთხრა აბანოს გამგემ მეხანძრეებს.

— მილიდან კვამლი რატომ ამოდის? — იკითხეს მეხანძრეებმა.

— თქვენ ხანძარი გვეგონათ? ბოდიში, ეს, აბანო ავამუშავეთ და კვამლი იმიტომ ამოდის. ტყუილად რაზე გარჯილხართ?

— თქვე დალოცვილიშვილო, როგორ არ გავისარჯოთ, ამ მილიდან სამ თვეში ერთხელ ამოდის კვამლი და საიდან გავიგოთ, ხანძარია თუ აბანო მუშაობს?

ამის შემდეგ აბანოს გამგე სახანძრო დაცვის მუშაკებს ისე უფრთხილდება, რომ აბანოს მილიდან კვამლი აღარ ამოსულა.

გვასწავლეთ, ამხ. ნიანგო, ვისთან ვიჩივლოთ, — აბანოს გამგესთან, თუ მეხანძრეებთან?

ო. დ-ძე

ამხ. ნიანგო! მოგესხნებათ, რომ ბარგის გადასატანად ბევრნაირი საშუალება არსებობს, მათ შორის კახეთში ძალიან გავრცელებულია ხურჯინი. ხურჯინი გარდა იმისა რომ გარეგნულად ლამაზია და მომზიბლავი, იგი იმიტაც არის შესანიშნავი, რომ ბარგს გადატანის დროს იცავს ფიზიკურ წონასწორობას, რაც დიდად აადვილებს სიმძიმის ტარებას.

ყველა ამ დადებითი თვისების გარდა ხურჯინს აქვს ერთი დიდი ნაკლი, რამაც შეიძლება ეს უკანასკნელი სრულიად გამოიყვანოს ხმარებიდან. ეს ნაკლი ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ნავთლულის სადგურში, ბაქნიდან გამოსასვლელ კართან. ბაქნის კონტროლით, როგორც კი დაინახავს მგზავრს ხურჯინით, ყოველგვარი აწონვის გარეშე თავისი შეხედულების მიხედვით აჯარიმებს. (რკ. გზ. წესის მიხედვით დაჯარიმება უნდა ხდებოდეს აწონვის შემდეგ ნებადართულ წონის ზედმეტ კილოგრამებზე).

ამხ. ნიანგო! კახელ მგზავრთათვის ერთი რამ არის გამოუცნობი: ხურჯინიან მგზავრების ასე უკანონოდ დაჯარიმება სადეს ხურჯინის ბრალია, თუ ზოგიერთი ახირებული მუშაკის მადის?

ხურჯინოსანი


პატივცემულო ნიანგო!

ლანჩუთის რაიონის სოფელ ღესას მცხოვრებლებს გვაქვს ერთი მეტად კრედიტრინიანი კოკამალაზია. მალაზიაში გამყიდველად მუშაობს კრელკაბიანი ქალი — ყენია. მუშაობს მეთქი, კი არ მუშაობს ოფლს ღვრის, დღეღამად იღწვის, რომ ზაფხულის პაპანაქების დროს გასაყიდად მოსული კალოშები და სათბურები როგორმე გადაინახოს და ზამთრისთვის შეინახოს. ადგილობრივი მომხმარებლები „ცილს სწამებენ“, თითქოს ყენია ამ საქონელს ნაცნობ-მეგობრებისთვის ინახავდეს. პატივცემულო ნიანგო! ჩვენი კრელკაბიანი ნოკარი საქონელს ნაცნობ-მეგობრისთვის ინახავს, თუ ზამთრისათვის, ეს არც იმდენად საინტერესოა. მაგრამ ერთი საინტერესო: თითონ ყენიას ვინ ინახავს?

მომხმარებლები

ბრძოლა „სიმაღლისათვის“

დიდი-ჯიჩაიშის სას. -სამ. ტექნიკუმის გუნდმა ლელოში საქართველოს პირველობა მოიპოვა.



მ. ქვირია — (გუნდის კაპიტანი) მოკლე დროში ხალხურ ლელოს დაედება დიდი ფასი, სიმაღლეში ვინ შემწვდება, რომ წაიღოს ჩემგან თასი?



ი. ჟინვალელს (დუშეთი). დიდი გასაკვირი გქონიათ დუშეთელ მოსიერზე ყმაწვილებს.

ქალაქის ბაღი ხელს უწყობს, საზოგადოებრივ სეირსა, მაგრამ დუშეთელ ყმაწვილებს ვერ დაგვაყვედრებს ხეირსა. შიგ ერთი სკამი არა დგას რომ დასხდნენ მოსიერნი...

როგორც თქვენი „ლექსი“ გვაფიქრებინებს, თქვენ საყვედურს უნდა აცხადებდეთ ქალაქის ბაღში სკამების უქონლობისათვის. ეს დიანაც, რომ „საზოგადოებრივი“ სეირია, და, თქვენი გულისწყრომაც სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მართლ უსკამობა როდია მიზეზი ხეირის უნახაობისა. მავალითად ზოგი ლექსის ავტორიც „ვერ დაგვაყვედრებს ხეირსა“.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვინდა გასწავლოთ ერთი ხერხი, თქვენი „საზოგადოებრივი“ სეირის გამოსასწორებლად: როგორმე მოახერხეთ, და დუშეთის კომუნის გამოე ამხ. ლაღუა რამდენიმეჯერ შეიყვანეთ მაგ ბაღში სასეირნოდ. გარწმუნებთ, გაახსენდება ბაღში სკამების მოწყობაზე ზრუნვა.

მის. ხაშელს (ფოთი). საკვირველ ამბავს გვატყობინებთ: თურმე ფოთშიც მოდის ისეთი წვიმა, რომელიც კაცს ფეხს უსველებს:

გუშინ წვიმა განუწყვეტლივ, აღარ ჰქონდა საზღვარი, დაგანახათ ნეტავ მაშინ ფოთში ჩვენი ბაზარი, შესასვლელი ბაზრის კართან წყალი დგება უღევი, ფეხი თუ არ დაგისველდა— შიგ ვერ შეხვალ სრულებით.

ამ დროს თქვენი ბაზრის კომიტეტი თურმე ამდგარა და მთელი შემადგენლობით ლეკურსა და დავლურს უვლის:

ეს ბაზრისა კომიტეტა არ აღარჯებს სრულიად; სხვა საქმეში გართულია: ლეკურს, დავლურს უვლიან.

კაი სანახავი კი იქნება ეგ თქვენი ბაზრის კომიტეტი, როცა ის ნიღღარში ჩამდგარი ლეკურსა და დავლურს უვლის. ცხადია, ასეთი კომიტეტი, ყოველთვის შეეცდება გუბე და ტლაპო იქონიოს ბაზარში, რომ ცეკვაში ხელი არ შეეშალოს.—ისევე ქალაქის სანიტგანყოფილებას უნდა მიმართოთ.

მერეხს (გალი). გულისწყრომა, რასაც თქვენ გამოსთქვამთ გალის რაივაცრობის მიმართ—ჩვენთვის გაუგებარია:

დასასრული არ უჩანს თინებს და ხალტურას, არამქონეს ვინ მისცემს ტუფლს და მანიფაქტურას?

მაშასადამე, გამოდის, რომ რაივაცრობიდან ისეთებს აძლევენ ტუფლს და მანიფაქტურას, ვისაც ის უკვე აქვს. მერე რას ემდურით? რაივაცრობის ლოლიკა გასაგებია: ვისაც არა აქვს— მაშასადამე, ის უკვე შეჩვეული იქნება უტუფლოდ სიარულს, ვისაც ბევრი აქვს— მას უნდა მიაშველოს, რომ თქვენს მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

ორი წელი გავიდა, ფეხზე აღარ მაცვია,— ასჯერ არაა მივართვი, მაგრამ გულქვა კაცი.

აცალეთ. ასი არზის განხილვას ეხუმრებთ? სომ ასჯერ უნდა წააწეროს კაკო ზაქარაიამ: „უარი ეთქვასო!“

ბ. აღშიბაიას (ზუგდიდი). იწერებთ—სოხუმის ქუჩაზე გაყვანილ რადიო-ქსელის უმოქმედობის შესახებ: ქსელი არ მუშაობს აბონენტები განცხადებებით თავს აბეზრებენ რადიოსადგურის გამგეს, ხოლო...

ის დაუსრულებელი დაპირებებით უმასპინძლებდა შევაკეთებო, მაგრამ ორ თვეზე მეტია, რაც სოხუმის ქუჩაზე გაყვანილი რადიოები სდუმანო,— დასძენთ.


არ გეთანხმებით, ეს დადუმებული რადიოები აშკარად მეტყველებენ რადიოქსელის მესვეურთა უმოქმედობაზე.

- ეჭ, რამდენი ისტორიული ძეგლია თბილისში!
- ვერის ხიდს კი ვერც ერთი ვერ შეედრება.
- ვითომ ვერის ხიდიც ძეგლია?!
- დიდი არაფერი, მაგრამ ისტორიას წინდაწინ ასე არც უნდა უთხროს ლისათვის არ განუსაზღვრავს სახელი, როგორც ვერის ხიდისათვის.
- ეგ ვერა ვილა იყო?
- ვინ ვერა, ვერა რა შუაშია?
- ალბათ ვინმე ვერა იყო მაგ ხიდის ამგები ინჟინერი და იმიტომ დაარქვეს ვერის ხიდი.
- არავითარ შემთხვევაში, მაგ ხიდის ამშენებელს ვერა არ რქმევია, მაგრამ ეს სახელი კი თითონ ინჟინერმა დაარქვა.
- ვითომ რა მინდაო?
- ქართველი კაცი ხარ და კარგად გეცოდინება სიტყვა „ვერას“ მნიშვნელობა. ეს ჩვეულებრივი საუარყოფითო საპასუხო სიტყვაა, მაგალითად: „ვერ გაივლი“, „ვერ გამოივლი“ და ასე შემდეგ.
- ალბათ იმ ინჟინერს თანამედროვე მანქანები ჰქონდა მხედველობაში.
- რა მანქანები?
- ავტომანქანებზე გეუბნები. ალბათ წინდაწინვე განსაზღვრა, რომ ჩვენს დროში 10-ტონიანი მანქანები ივლიდა და ორი ერთად ვერის ხიდზე ვერ გაეტეოდა.
- სრულიადაც არა, მართალია ამ ხიდზე მანქანები ხშირად მარჯვნივ ან მარცხნივ უხვევენ და ცივ წყალში გრილდებიან, მაგრამ ამ სახელის დარქმევის დროს მანქანები სრულიადაც არ ჰქონიათ მხედველობაში.
- მაშ რაშია საქმე?
- აქ უსათუოდ აღამიანები უნდა ჰყოლოდათ მხედველობაში.
- აღამიანი რაღა შუაშია?
- იმ შუაშია, რომ ამ ხიდზე ისე ვერ გახვალ და ვერ გამოხვალ, რომ აყრილ, გაცვეთილ ფიცრებში უფი არ ჩაჯივარდეს.
- ა, მაგ საკითხში ვერ დაგეთანხმები.
- რატომ, ტყუილს ვამბობ?
- არა, ტყუილი არ არის, მაგრამ მე რომ დაგეთანხმო, მოლოტოვის რაი-საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე მაინც არ დაგეთანხმება.
- თუ არ დამეთანხმება, მაშინ, თავისი ცრულშეილითა და ნათესავ-ნაცნობებით ბნელაში ერთი საშვერ გაიარ-გამოიაროს ამ ხიდზე და მერე მელაპარაკოს.

ბ. ჰერალი

ყოვინ კოკვიდგაგვი

ნახ. დონისა



საშუალო ტანის მოძალატე (მაღალს)—ერთი თუ ძმა ხარ, ჰკითხე ლუბას, ლუდი აქვს თუ არა?



— რატომ ახე მოწიწებით მიესალმა ბატონი მინისტრი ამ შა'ტანის ქალს?
— ალბად გულისხმობს, რომ ის გადაცმული ჰიტლერია.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, შჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ბელმოწ.დასაბ. 1945 წ. 29/VIII ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამოც. № 50. შგვ. № 1051. ტირ. 7500. უე № 01756